RICDOG

იყავი აქტიური ყველგან და ყოველთვის!

სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"

ბაიბე მეტი ჩვენზე:
www.ricdog.org

ანგარიში

2020 (12) – 2021 (12)

დეკემბერი, 9, 2021

სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
გენერალური მდივანი: ლანა თოთაძე

ორგანიზაციის 2021 წლის პრიორიტეტები:

- ორგანიზაციის სტრუქტურის განვითარება და გაძლიერება;
- ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;
- ორგანიზაციისთვის საკადრო საჭიროებების გამოვლენა და საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა;
- პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრა და საგრანტო პროექტების განხორციელება;
- ორგანიზაციის იმიჯის განვითარება.

1). ორგანიზაციის სტრუქტურის განვითარება და გაძლიერება

ორგანიზაციაში აქტიურად მიმდინარეობს სუპერვაიზინგის განხორციელების პროცესი.
წლის პირველ ნახევარში შეიქმნა სუპერვაიზერების სამუშაო დოკუმენტი, სადაც ინდივიდუალურად განისაზღვრა სუპერვაიზერის მუშაობის კონკრეტული საქმიანობა და ინდიკატორები წევრების მიმართ. აღნიშნულ პროცესში ჩაერთო 3 გამგეობის წევრი. ამ ეტაპზე, ორგანიზაციის ყველა წევრს ჰყავს სუპერვაიზერი.
ორგანიზაციის ყველა წევრმა შეავსო წევრთა კარიერული განვითარების შესაბამისი ფორმა, რომელთა გამოყენებით დაიწყო მათი კომპეტენციების განვითარებაზე მუშაობა.
„ორგანიზაციის წევრთა მატერიალური და არამატერიალური წახალისების სისტემის დანერგვისთვის“ ორგანიზაციამ პერმამენტული სამუშაოები ჩაატარა ორგანიზაციის წევრთა მონაწილეობით. 2 თვის განმავლობაში შემუშავდა 3 სახის მოდელი და მოეწყო მათი განხილვები. ამ ეტაპზე, ორგანიზაციის ეგიდით სრულად უზრუნველყოფს 4 ორგანიზაციის წევრის ფინანსურ საჭირობებების დაფარვას, 3 გამგეობის წევრის, ასევე ნაწილობრივ 3 წევრის. ორგანიზაციაში სახელფასო აღრიცხვაზე იმყოფება 4 გამგეობის წევრი.
ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ორგანიზაციის წევრთა ზოგადი უნარების განვითარებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ერთის მხრივ სუპერვაიზინგის განხორციელების პროცესში წევრთა უნარ-ჩვევებისა თუ კომეპეტნციების განვითარებაზე მუშაობა ინდივიდუალურად მიმდინარეობს, ხოლო საერთო - წევრთა შეხვედრების განმავლობაში გუნდური პრინციპით. ამ ეტაპზე სულ ჩატარდა 2 შეხვედრა: გენდერთან მიმართებით ჩატარებული ვორქშოპი და დისციპლინასთან დაკავშირებული შეხვედრა.
გარდა ამისა, ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს გაცვლით პროგრამებზე, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციის წევრების კვალიფიკაციის, უნარ ჩვევების გაზრდას. ამ დროისთვის ორგანზიაციამ განახორციელა 6 გაცვლითი პროგრამა (იტალია, სომხეთი, უნგრეთი (3 ჯერ) და საქართველო). აღნიშნულ გაცვლით პროგრამებში სულ 8 წევრმა მიიღო მონაწილეობა).

ორგანიზაციისათვის შესაბამისი კადრების მოძიება ან/და ფორმირების მიმართულებით ორგანიზაციამ გაანახლა „ნეირო ლიდერობის პროგრამა“: შეიცვალა განხორციელების პერიოდი, დაფორმარტირდა მუშობის სპეციფიკა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროგრამა, რომელშიც აღნიშნული პერიოდისათვის 7 ახალგაზრდა იღებს მონაწილეობას.

ბოლო 1 წლის განმავლობაში განხორციელდა 3 მოხალისეთა კლუბი და დაიგეგმა და მიმდინარეობს ახალი პროექტი/პროგრამა, რომელშიც მონაწილეობას იღებს 20 ახალგაზრდა. ასევე, წელს პირველად პროგრამა „ის მაინც არსებობს“ - საკუთარი მოხალისეთა კლუბი „ელფები“ ჰყავს. წლის მანძილზე ორგანიზაციას 42 მოხალისე ჰყავდა.

აღსანიშანავია, რომ ორგანიზაციას 3 ახალი წევრი ჰყავს, ხოლო სტატუსი შეიცვალა 1-მა წევრმა (ფრილანსერის სტატუსი). წევრთა რაოდენობა ამ ეტაპზე შეადგენს - 14 (გამგეობის ჩათვლით). ორგანიზაციისთვის ერთ-ერთ გამოწვევად კვლავ წევრთა რაოდენობა რჩება, რომელზეც მუშაობა 2022 წელს კვლავაც გრძელდება და წლის ინდიკატორების მიხედვით წლის ბოლომდე ორგანზიაციაში 3 წევრით უნდა გაიზარდოს.

2). ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა

ორგანიზაცია 2021 წლის განმავლობაშიც აქტიურად აგრძელებდა მუშაობას ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისათვის. ორგანიზაციის სტრუქტურის, ფონდების მოძიების სისტემების გამართვისა და ორგანიზაციის წევრის აქტიურად ჩართვის მიმართულებით ორგანიზაციაში მიმდინარეობდა აქტიური სამუშაოების განხორციელება, კერძოდ:

1. ორგანიზაციაში განახლდა პროექტების წერის ჯგუფი, რომლის მუშაობაში ჩართულია როგორც ორგანიზაციის წევრები ასევე გარეშე პირები, მათ შორის ორგანიზაციის გამგეობიდან 2 წევრი;
2. შეიქმნა ფონდების მოძიების ჯგუფი, რომელშიც ჩართული იყო 3 წევრი (მოგვიანებით აღნიშნული ჯგუფი დაფორმარტირდა და სხვადასხვა ინდივიდებზე დანაწილდა მიმართულებები).

სულ ამ დროისთვის საპროექტო ჯგუფის მიერ წლის განმავლობაში დაიწერა 19 პროექტი საიდანაც 9-ზე უარი მოვიდა. ხოლო დაფინანსდა 4 („მეტი ჩართულობა მეტი აქტიურობისთვის“, „მოხალისეთა პოპულარიზების პროგრამა“ „Green games” “მერების შეთანხმების მონიტორინგი და ადვოკატირება“) საპროექტო გუნდმა განახორციელა კურსი “საგრანტო განაცხადის წერის ორ თვიანი ონლაინ კურსი”. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ

ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს სხვადასხვა სახის პროექტების წერის კონსულტაციებზე, როგორიცაა: სოციალური და ბიზნეს გეგმების დაწერა, აწარმოე საქართველოს პროექტების წერა.

ორგანზიაცია აქტიურად მუშაობს სხვადასხვა უწყებებთან როგორიცაა ქუთაისის მუნიციპალიტეტი და კოლეჯი „იბერია“. სწორედ კოლეჯ იბერიასთან თანამშრომლობით დაიწერა პროექტი მეღვინეობაზე. პროექტი დაფინანსდა UNDP-ის მიერ. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ბაღდათს ექნება მეღვინეობის აკრედიტირებული ფაკულტეტი და შეიქმენა ღვინის ლაბორატორია. გარდა ამისა, ორგანიზაცია მუშაობდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე, რომელიც დაფინანსებულია. მისი ჯამური თანხაა 79 000 დოლარი, აღნიშნული პროექტის ფარგლებში ორგანიზაცია მუნიციპალიტეტს გადასცემს საჩუქრად მძიმე ტექნიკას, რომელიც ქუთაისში, წყალტუბოში, ხონსა და სამტრედიაში კანალიზაციისა და სანიაღვრე წყლის სისტემების გამართულად ფუნქციონირებას შეუწყობს ხელს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში თაობათა დიალოგი შეასრულებს მონიტორინგის ფუნქციას და აქტიურად ადევნებს თვალს ტექნიკის შემდგომ მოვლა/გამოყენებას.

ბოლო 6 თვეში პროექტის წერისა და მართვის კურსის პროექტების წერის პროცესში ჩაერთო და გადამზადდა 7 ადამიანი საიდანაც 5 იყო NLP პროგრამის მონაწილე ხოლო 2 ორგანიზაციის გარეშე პირი, 1 ორგანიზაციის წევრი და ორგანიზაციის 2 გამგეობის წევრი.

პროექტები:

2020 წლის ბოლოს, ორგანიზაციაში PH Internacional-ის მიერ დაფინანსდა 1 პროექტი _ „3 Keys of Police Exploring“, რომლის სრული ბიუჯეტი შეადგენს $6,983.60 . აქედან 2021 წლის განმავლობაში დარიცხულმა თანხამ ორგანიზაციის ანგარიშზე შეადგენდა 9 173,43 ლარი. აღნიშნული პროექტის მიზანია ახალგაზრდების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და ახალგაზრდებსა და სამართალდამცავებს შორის პოზიტიური ურთიერთობის, ნდობის ფორმირება. აღნიშნულ პროექტში სულ მონაწილეობას იღებდა 510 ადამიანი და 12 სამართალდამცავი.

ორგანიზაცია 2021 წლის განმავლობაში აქტიურად აგრძელებდა თანამშრომლობას ორგანიზაცია PH Internacional-თან და ახორციელებდა ACCESS პროგრამას. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი შეაგდენდა 3500 $, რაც დაახლოებით უდრიდა 11 546 ლარს. პროექტის მიზანია ინგლისური ენის შესწავლა სოციალურად დაუცველ, სიღარიბის ზღვარს

ქვემოთ მყოფი ახალგაზრდებისთვის. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობასმ 20 მოზარდი იღებს.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით 2021 წელს ორგანიზაციამ დაიწყო 1 პროექტის განხორციელება **„ახალგაზრდებში მოხალისეობის იდეის პოპულარიზების პროგრამა“** ბიუჯეტი შეადგენს 12 550 ლარს. პროექტის მიზანია მოხალისეობის პოპულარიზება და ახალგაზრდების ჩართვა მოხალისეობრივ საქმიანობაში. პროექტი 5 თვიანია და მასში 20 ახალგაზრდა იღებს მონაწილეობას.

2021 წელს მოხდა ასევე ქუთაისის მერიის მიერ 2020 წელს დაფინანსებული პროექტის **„მეტი ჩართულობა მეტი აქტიურობისთვის“** ბიუჯეტის მეორე ნაწილის თანხის ჩარიცხვა ორგანიზაციის ანგარიშზე, რაც შეადგენდა 3814 ლარს. აღნიშნული პროექტის მიზანია ახალაზრდების გააქტიურება და მათი ჩართვა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ინიციატივების პლატფორმა „აიპ“ , რომელიც დღესაც აქტიურად განაგრძობს მუშაობას. დღეს „აიპ“-ის მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს 17.

2021 წელს RICDOG-მა ორგანიზაცია „მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები საქართველოსთან“ ერთად განახორციელა ორი პროექტი, ერთი **„მერების შეთანხმების დოკუმენტის მონიტორინგი და ადვოკატირება“** რომლის ბიუჯეტი შეადგენდა **1000 ევროს.** პროექტის მიზანი გახლდაც გამოგვევლინა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებული/ შეუსრულებელი საქმიანობები მერების შეთანხმების ფარგლებში. პროექტის ფარგლებში შეიქმნა სახელმღვანელო და

ინფორმაცია მიეწოდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს, ისე მედიის, არასამთავრობო სექტორსა და აქტიურ მოქალაქეებს.

ხოლო მეორე გახლავთ **„Green Game“** რომელის ბიუჯეტით შეადგენდა 500 ევროს. აღნიშული პროექტის ფარგლებში მონაწილეობას იღებს 50 ადამიანი, მისი მიზანი გახლად ცნობიერების ამაღლება კლიმატის ცვლილებების შესახებ.

ასევე, 2021 წლის ბოლოს ორგანიზაციამ მიიღო 2 პროექტი უკრაინული პარტნიორი ორგანიზაციისაგან „**Resource and Analysis Center "Society and Environment"**, რომელთა ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 11 945 ევროს.

ამ ეტაპზე პროექტების წერის ჯგუფი მუშაობს 1 პროექტზე. ხოლო წევრები აქტიურად აგრძელებენ დონაციაზე მუშაობას, ახალგაზრდული სივრცის Game ზონაზე, ამ ეტაპზე გადაიგზავნა 25 წერილი სხვადასხვა დონორებთან და ასევე მიმდინარეობს სამუშაოების სხვადასხვა თამაშების კომპანიებთან გადასაგზავნად.

ორგანიზაცია გარდა ამისა აქტიურად მუშაობს საერთაშორისო დონეზე პროექტების წერის მიმართულებით, როგორიცაა Erasmus+ პროექტები. ამ ეტაპზე ორგანიზაციამ გადააგზავნა 20-მდე „მანდატი“, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიმართულებით ისეთ ქვეყნებთან ერთად როგორებიცაა: ესტონეთი, სომხეთი, იტალია, თურქეთი, ლიეტუვა, უნგრეთი. გარდა ამისა, ორგანიზაციამ დაასრულა განხორციელება 2 საერთაშორისო პროექტის, სომხეთისა და ესტონეთის პარტნიორობით, რომლის ფარგლებში განხორციელდა 1 Job shadowing საქართველოში. ეს პროექტები იყო 1) "Inclusive Youth Work" რომელსაც ესტონელ პარტნიერობთან ერთად ვახორციელებდით, ხოლო 2) "Partnership for Innovative Entrepreneurial Education" რომელსაც სომეხ პარტნიორებთან ერთად განვახორციელეთ.

აღნიშნული პროექტები დაიწყო 2018 წელს და უნდა დასრულებულიყო 2020 წელს, თუმცა ვადების გაზრდა განაპირობა კოვიდ რეგულაციებმა და მათი დასრულება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2021 წლის განმავლობაში. ზემოთ აღნიშნული 2 პროექტის ბიუჯეტის წილი, რომლის დარიცხვაც ორგანიზაციის ანგარიშზე მოხდა 2021 წლის განმავლობაში შეადგენდა: 7 665 ევროს რაც დაახლოებით 27 759 ლარს უდრის. ამ ეტაპზე ორგანიზაციას აქვს 1 საერთაშორისო პროექტი დაფინანსებული ვიშეგრადის

ფონდის მიერ (წამყვანი ორგანიზაცია არის უნგრეთი). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში იგეგმება საქართველოში განხორციელდეს Study visit და საბოლოო კონფერენცია, საიდანაც ორგანიზაციული წილი გახლავთ 17 720 ევრო. ორგაზაციას კიდევ ერთი გაცვლითი პროგრამა დაფინანსდა (რომელიც დაწერილი იყო ორგანიზაციის წევრის ლეონორ ღოთესის მიერ) რომლის განხორციელებაც 2022 წელს დაგეგმილია საქართველოში. წლის მანძილზე ორგანიზაციას ჰქონდა 7 გაცვლითი პროგრამა რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12 ადამიანმა (იტალია, სომხეთი, უნგრეთი (3 ჯერ), საქართველო, სლოვაკეთი. აქედან იტალია დისტანციურად). საერთო ჯამში 21 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში.

საერთო ჯამში წლის მანძილზე ორგანიზაციამ გაახორციელა 15 პროექტი/პროგრამა, ამ ეტაპზე ორგანიზაციას აქვს 9 მიმდინარე პროგრამა/პროექტის: NLP პროგრამა, მოხალისეთა კლუბი, მოხალისეობის იდეის პოპულარიზების პროგრამა, Game ზონა, ვიშეგრადის პროექტი „YOUng Power", Erasmus+ , პროექტების წერის ჯგუფი, Resource and Analysis Center "Society and Environment", access საიდანაც 4 წარმოადგენს პროგრამას (ხორციელდება ორგანიზაციის რესურსებით) ხოლო 5 პროექტს (რომელიც დაფინანსებულია სხვადასხვა დონორების მიერ საგრანტო კონკურსის ფარგლებში).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორგანიზაცია მუშაობს ბაღდათის მუნიციპალიტეტში ასევე ახალგაზრდული მიმართულებით. პროექტის ფარგლებში შექმნილი სივრცე „Game ზონა" გახლავთ ახალგაზრდების თავშეყრის ადგილი. ამ დროისთვის აღნიშნულ სივრცეში გვსტუმრობს 500 ვიზიტორი, ხოლო დასაქმებული გვყავს 1 ადამიანი. ორგანიზაცია გარდა ახალგაზრდული სივრცისა აქტიურად თანამშრომლობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ბაღდათს მერთან არსებულ ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოსთან და იმერეთის განვითარების ფონდთან. ამ დროისთვის მიმდინარეობს სივრცის საჭიროებებისთვის, როგორიცაა რეინვენტარიზაცია, საკადრო პოლიტიის გაძლიერება და სხვა მუშაობა და დონორების მოძიება. ამ ეტაპზე გადაგზავნილია 25 მაილი რომელზეც ველით პასუხს. სივრცეს ჰყავს 15 აქტიური და სტაბილური წევრი, ხოლო წლის მანძილზე სულ განხორციელდა 50 ინიციატივა. აღსანიშნავია ისიც, რომ მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდული სივრცე წარადგინა როგორც საუკეთესო პრაქტიკის ობიექტად, რომელიც მიუთითებს ცენტრის იმ ღირებულებების გამათულად ფუნციონირებისკენ რის გამოც შეიქმნა იგი.

3). ორგანიზაციის იმიჯის განვითარება.

ორგანიზაცია აქტიურად მიჰყვება PR სტრატეგიას და ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს საკუთარი აქტივობებით ორგანიზაციის იმიჯის განვითარებას.
მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ სოციალური ქსელის „FACEBOOK"-ის სტატისტიკაზე დაყრდნობით - ორგანიზაციის ოფიციალურ გვერდზე ადამიანთა ჩართულობა - პოსტების ნახვის, მოწონების, გაზიარების და ყურადობის მაჩვენებლები 58%-ით გაზრდილია.

მნიშვნელოვანია - ინსტაგრამისა და ტიკ-ტოკის სოც.ქსელების პლატფორმების აქტიური გამოყენება ბოლო პერიოდში ორგანიზაციის მიერ.

ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ადგილობრივ მედია საშუალებებთან, უახლესი წლის მანძილზე ორგანიზაციამ სხვადასხვა მედია საშუალებებში იყო მიწვეული, დაახლოებით 20-ჯერ (რომელიც ეხებოდა ორგანიზაციის სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამების გაშუქებას, სხვადასხვა პოლიტიკური თუ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე სასაუბროდ, თავად ორგანიზაციის სტრუქტურულ ცვლილებებსა და დაბადების დღეს, ორგანიზაციაში მომუშავე პირების ინდივიდუალურ გაშუქებებზე). აღსანიშნავია ისიც, რომ ორგანიზაციას ადგილობრივი თუ ცენტრალური არხები აქტიურად აშუქებენ სხვადასხვა მიმდინარე პოლიტიკურ თუ სხვა თემებთან მიმართებით.
ორგანიზაცია აქტიურად ერთვება ეროვნულ თუ საერთაშრისო დონეზე დაგეგმილ ღონისძიებებს, იცავს მის იმიჯს და ცდილობს გააცნოს ორგანიზაცია როგორც საერთაშორისო ისე ეროვნულ დონეზე მომუშავე დონორებს. წლის მანძილზე დაახლოებით 50-ზე მეტ შეხვედრას დავესწარით ორგაზაციის სახელით. გარდა ამისა, ორგანიზაცია ხშირად არის მიწვეული ფოკუს ჯგუფებში სამუშაოდ რომელიც ეხება როგორც ინკლუზიურ თემებს, ისე დონორებთან მუშაობის გაუმჯობესებას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული მიმართულების გაძლიერებისთვის, ამის ფარგლებში ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა ახალგაზრდული ინიციატივების პლატფორმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანზიაცია უკანასკნელი 1 წლის მანძილზე აქტიურად მუშაობს სხვადასხვვა სტრატეგიულ დოკუმენტებზე და კვლევებზე, კერძოდ :

- ორგანიზაციამ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტთან პარტნიორობით შეიმუშავა ქუთაისის მუნიციპალიტიტის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი.
- ორგანიაზაცია დღესაც აქტიურად არის ჩართული ბაღდათის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში .

● "მერების შეთანხმების დოკუმენტის მონიტორინგი და ადვოკატირება" პროექტის ფარგლებში შემუშავდა დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ ევროკავშირის ინიციატივის "მერების შეთანხმების" ფარგლებში აღებული ვალდებულებების არშრულების ანალიზსს. პროექტის ფარგლებში მრგვალი მაგიდის ტიპის შეხვედრები გაიმართა. შეხვედრაზე პროექტის გუნდმა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებს, სამოქალაქო ორგანიზაციებს, მედიას, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს და სამოქალაქო აქტივისტებს, პროექტის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტი წარუდგინა.

გამოწვევები:

ორგანიზაციაში კვლავ რჩება რამდენიმე საკითხი მთავარ გამოწვევად, რომელზედაც გამგეობა 2022 წელს კვლავაც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას:

1. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა (ორგანიზაცია აქტიურად იმუშავებს სხვადასხვა დონორებთან, ბიზნეს სექტორთან და დონაციაზე);
2. ორგაიზაციის სტრუქტურის განვითარება (მიიუხედავად იმისა რომ 2021 წელს ორგანიზაციამ 3 ახალი წევრი მიიღო, 2022 წელს იგეგმება 3 ახალი წევრით გაზრდა).